სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 02-1016

ქ. თბილისი

01.06.2015

ესპანური ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდის (DELE) 2015 წლის 17 ივლისს ჩაბარების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საფასურისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სერვანტესის ინსტიტუტს შორის 2013 წლის 17 მაისს გაფორმებული შეთანხმების, სერვანტესის ინსტიტუტის 2015 წლის 18 მარტის N02-3060/15 წერილის და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გიორგი გვალიას 2015 წლის 29 მაისის 02-6433/15 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდა (DELE) A2, B1, B2, C1 ენობრივი დონეებზე ჩატარდეს 2015 წლის 17 ივლისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში;

2. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 2 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11:00–17:00 საათამდე, მისამართზე ჭავჭავაძის 32, ოთახი A206;

3. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდზე (DELE) გასვლის მსურველებმა რეგისტრაციის ადგილზე უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფურცელი და წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ორიგინალი და ასლი;

ბ) გამოცდაზე დარეგისტრირებისთვის საჭირო, გამოცდის დონის შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: **ხაზინის ერთიანი ანგარიში, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერ სიტეტი**
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:302007700
მიმღების ბანკი: **სახელმწიფო ხაზინა**
ბანკის კოდი: **TRESGE22**
დამატებით ინფორმაციაში მიუთითეთ 7710 (სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

4. ესპანური ენის საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდაში (DELE) მონაწილეობის მსურველთათვის გამოცდის საფასური განისაზღვროს დანართი N1-ის შესაბამისად;

5. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე (DELE) გასვლის მსურველების რეგისტრატორად განისაზღვროს ნინო ქარელი(ენების დიდაქტიკის ცენტრის კოორდინატორი);

6. ესპანური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის (DELE) საგამოცდო კომისიისა და კომისიის აპარატის შემადგენლობა განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად;

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი უნივერსიტეტის ესპანური ენის მასწავლებელს თამარ ბესელიას;

8. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელ ფეისბუქში განთავსება;

9. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

10. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, ფინანსურ სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშის სამსახურს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ენების დიდაქტიკის კვლევით ცენტრს და ამ ბრძანების N2 დანართით განსაზღვრულ პირებს.

რექტორი გიგა ზედანია